# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

**რედაქცია**

გოლოვინის პროსპექტზე თ. ივ. მუხრანსკის სახლებში, კლუბის ქვემოთ.

**ხელის-მოწერა**

მიიღება თვითონ „დროების" რედაქციაში, ქუთაისში ჭილაძის (გერარდის) წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба".

**„დროების" ფასი:**

| | | | |
|---|---|---|---|
| თვლის წლისა | 9 მან. | სამის თვისა | 3 მან. |
| ექვსის თვისა | 5 მან. | ერთის თვისა | 1 მან. |

**ფასი განცხადებისა**

დიდის ასოებით, ასოზე 1 კაპ., ასოთამთავრულით ასოზე ნახევარი კაპ., წვრილ-შრიფტი—ყოველ სტრიქონზე 8 კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილს რედაქცია უკანვე არ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

ქუთაისში განცხადება მიიღება ჭილაძის წიგნის მაღაზიაში.

ცალკე ნომერი „დროებისა" დარჩება შაური.



## ორის თვის ხელის-მოწერა.

პირველის ნოემბრიდამ ამ 1882 წლის დამლევამდინ

## „დროება"

ღირს გაგზავნით 2 (ორი) მანეთი

ხელის-მოწერა მიიღება: ტფილისში—გოლოვინის პროსპექტზე, თ. ივ. კ. მუხრანსკის სახლებში, კლუბს ქვემოთ.

ქუთაისში—ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ, редакція „Дроэба".



ქალაქის

## გამგეობისაგან

ტფილისის ქალაქის რჩევა ამით აცხადებს, რომ ამა 1882 წლის ნოემბრის 7-ს დილის 10 საათზე ქალაქის რჩევის ზალაში იქნება ხმოსანების კენჭის-ყრა (ამორჩევა) პირველ ხარისხის (რაზრიადის) ამომრჩეველთა მომავალ ოთხის წლისათვის, 1883—1886. (3—1)


## ტელეგრამმა

(„სამხრეთ-რუსეთის ტელეგრაფის სააგენტოსი")

**ხერსონი**, 29 ოქტომბერს. გუბერნიის საერო კრებამ ერთ-ხმად გადაწყვიტა იშუამდგომლოს უმაღლესის მთავრობის წინაშე, რომ ხარკოვში გაიხსნას ტეხნოლოგიური ინსტიტუტი, რომელიც მთელ სამხრეთ რუსეთისათვის აუცილებელ საჭიროებას შეადგენსო.

## გრიგოლ ორბელიანის იუბილეის გამო.

ამ უკანასკნელ ხანებში თან-და-თან ჩნდება სანუგეშო ნიშნები შესახებ იმისა, რომ ჩვენი ქართველობაც ილვიძებს იმ ხანგრძლივის ძილიდგან, რომელიც დროთა ცვლილებამ მოხვია მის თვალებს, თან-და-თან გამოდის იმ თავ მინებებულ უზრუნველ მდგომარეობიდამ, რომელშიაც ის საკმაო ხანი იმყოფებოდა.

იმ ნიშნებთა შორის, რომელიც ერის გამოფხიზლებასა და სიცოცხლის გზაზედ დაყენებას გვიჩვენებს, უნდა ჩაითვალოს პატივის ცემა და შრომის დაფასება იმ საეროდ მოღვაწე პირებისა, რომლებიც, ამ საერთოდ მოფენილ ღრმა და მიმხრწნელ ძილის დროს როდი აძინებდნენ ჩვენ ხალხს, არამედ თვისის დაუცხრომელის მეცადინეობითა და ფხიზლობით უფთხობდნენ ძილსა და იცავდნენ თავ-მოხრილ ერის ეროვნულ კუთვნილებათა და განსაკუთრებულ ფეროვნებას. ისინი მოუწყინარად იდგნენ იმ სარეცელის წინაშე, რომელზედაც არხეინად განისვენებდნენ, დროთა ცვლილების გამო, საგათას ძილს მიცემული ქართველები და მაღალის ხმით ჩასძახოდნენ მათ ყურში:

— „სულ ძილი, ძილი, როს გეღირსებით თქვენ გაღვიძება?!

და ვინ იყვნენ ამ გვარი მოუსვენარი დარაჯნი და მცველნი ჩვენი ხალხოსნიბისა და საერო განძთა და კუთვნილებათა? რასაკვირველია, ლიტერატურა და მისი წარმომადგენელნი, მისი მოღვაწენი და სულის ჩამდგმელნი.

ყოველი ერის ცხოვრებაში, რომელი ტომიც გინდა აიღოთ მაგალითად, ამას დაინახავთ დაუღალავ, უტყუარ ვექილად. იქ, სადაც განთიადს მიუღწევია და მშვენიერს განმაცხოველებელს მზის სხივებს მოუფენია მისი არე-მარე, ერს გამოუღვიძია და დასდგომია წარმატების გზას, რასაკვირველია, დაუნახავთ ამ გვარი პირების შრომისა და მოღვაწეობის ღირსება და ფასი და შესაფერი ადგილი მიუცია მათთვის თავის ცხოვრებაში.

ჩვენს მწერლობას, თითქმის საუკუნეზედ მეტი დრო განმავალობს, რაც კარგი და სანუგეშო დრო არ უდგია; იმას უნგარიშო დამაბრკოლებელი და შემაფერხებელი გარემოებანი უხვდებოდა და უხვდება დღესაც წინ. მაგრამ ყველაზე უფრო მძიმე აუტანელი მოუნელებელი სენი ჩვენი მწერლობისა იყო ის, რომ საზოგადოებას ზურგი ჰქონდა შექცეული მისკენ, ის აღარ თანაუგრძნობდა, სხვა-და-სხვა მიზეზთა გამო, მას, აღარ უგდებდა შესაფერად ყურს თავის მოძღვრის ქადაგების; საზოგადოებაში! აღარ ღვივოდა თავის ლიტერატურისა და მწერლობისადმი ლტოლვილება, იმას თითქო სრულებით დავიწყებოდა მწერლობის უმაღლესი ღირსება და დანიშნულება; და ამ მიზეზისა და სხვა ბევრ რიგ დამაბრკოლებელ გარემოებათა ზედ მოქმედებით, რომელიც ძირს უთხრიდა ჩვენს მწერლობას, საზოგადოება უდგა თავის მწერლობას ისე განზედ და უკმაყოფილოდ, როგორც ღრმად ჩაძინებული ადამიანი თავის ძალად გამომაღვიძებელს.

ქართველ მწერალს ვილა აძლევდა შესაფერ ადგილს, ქართულ ნაწერებს ვილა კითხულობდა?

ეს ცუდი და უნუგეშო დრო ისე ხანგრძლივად უდგა ჩვენს მწერლობას, რომ სულ-მოკლეობად არ ჩაეთვლებოდათ მის მოღვაწეებს, რომ ამ მწერლობის აღდგენაზედ იმედი დაეწმინდათ.

მაგრამ, სანუგეშოდ ჩვენ და, ის პირები რომლის მოღვაწეობასა და შრომის დაფასებას ჩვენ დღეს უდგებით, არ შეუშინდნენ ამ შავ-ბედით დროს, არ მისუსტებიათ მათ ენერგია, ერთ გულად სწევს ნაკისრნი წმინდა მოვალეობის უღელი და მოიტანეს მეცხრამეტე საუკუნის დასასრულის კარებამდის, თუმც ისინი ამ უღლის წევის დროს არა ერთ გზის ყოფილან დევნილი და შეურაცხყოფილი.

მადლობა ღმერთს, დღეს თითქო სხვა დრო დაუდგა ჩვენს მწერლობასა და მის მოღვაწეთ; ამ მწერლობამ ცოტათი მაინც გაიკაფა გზა თავის საზოგადოებაში, დაუახლოვდა მას და გააცნო თვისი მნიშვნელობა; ახლა ჩვენ ვხედავთ ისეთს სურვილს თავის

## „დროების" ფელეტონი, 31 ოკტ.

### კაპელმეისტერი

(ფრანცუზული მოთხრობა)

კაპელმეისტერი (მუზიკანტების მოთავე) რიხტერი ცხოვრებდა ქალაქს მ—ს, ელზასში.

იმას გათავებული ჰქონდა თავის ჩვეულებრივი ვახშამი, როდესაც ორმა ზარმა მორახუნებამ კარებზედ მთლად შეარყია იმის პატარა სადგომი.

ვინ უნდა იყოს ასე გვიან? იქნებოდა ცხრის ნახევარი და მას შემდეგომ, რაც ნემეცებმა აიღეს ეს ქალაქი, ქუჩები წარმოადგენდა უდაბნოს და სამწუხარო შეხედულობას: ქალაქის მცხოვრებლებს რცხვენოდათ, რომ დამარცხდნენ და თუ არ ძალიან დიდ საჭირო საქმისთვის, ისე არ გამოდიოდნენ გარედ.

ამ დროს ასეთი კარებზედ რახუნი არა ჩვეულებრივი შემთხვევა იყო. რიხტერმა აუჩქარებლივ დადო თავის ჩიბუხი სტოლზედ, გაისწორა ტანსაცმელი და ნელა მივიდა კარებთან, გასაღებად.

— ვა! შენა ხარ, ხრისტელ! წამოიძახა იმან, როდესაც იცნო საყდრის მცველი. რა ეშმაკმა მოგიყვანა ასე გვიან აქ?

— ბატონო რიხტერო,—მიუგო მან ქლოშინით,—მომიტევეთ, რომ შეგაწუხეთ, მაგრამ მღვდელმა გამომგზავნა თქვენთან...

— რამე უბედურება ხომ არ მოსვლია?—ჰკითხა აჩქარებით რიხტერმა.

— არა მგონია, ბატონო რიხტერო, მაგრამ მიბრძანა მოგახსენოთ, რომ იმას სურს თქვენი ნახვა ამ საათში, ამ წუთში....

— შენ მგონია გაგიჟდი? უთხრა კაპელმეისტერმა.—მღვდელს უნდა ჩემი ნახვა ასე გვიან?

— დიაღ, ბატონო რიხტერო! მე ბრძანები მაქვს, თან წაგიყვანოთ იმასთან.

— ღმერთო ჩემო! ნეტავი რა უნდა იყოს, წაიბუტბუტა რიხტერმა.

საყდრის მცველს უთხრა შემოსულიყო წინა ოთახში და მოეცადნა სანამ ის გამოიტანდა თავის ოთახიდამ ქუდსა და ჯოხს.

—

აქარის ნაბიჯით და ჩუმათ მიდიოდნენ რიხტერი და მცველი. მხოლოდ რამდენიმე ნემეცის აფიცრები გამოსულიყვნენ პივის სასმელ სახლიდან და იმით მძიმე ხმლებს რაჩხარუჩხი გაუდიოდა ქვებზედ ამ მიყრუებულ ქუჩაში.

საყდრის მცველმა გაალო პატარა კარები მღვდლის სახლისა, გასაღები მას ჰქონოდა ჯიბეში, და შეიყვანა კაპელმეისტერი.

მამა შლეგერი, მოხუცი პატრი, როგორც ეტყობოდა მოუთმენელად ელოდა ამათ. მ. შლეგერი იყო სამოც-და-ათი წლის ლამაზი მოხუცებული. იმისი თოვლსავით თეთრი ხშირი თმა და შეხედულობა დაგარწმუნებდათ მის პატიოსნებაში. გულზედ ჰქონდა მიკრული პატარა წითელი ბანტი,—ნიშანი ორმოც-და-ათი წლის თავ-განწირულის და უბიწო სამსახურისა.

თუთხმეტ წელიწადზედ მეტი იყო მღვდლად ქალაქს მ-ში და ვერ ნახავდით ვერც ერთ ღარიბს, რომელსაც რაიმე სიკეთე არ ენახა იმისაგან, რომელსაც არ გაეცნო იმის კეთილი გული და ქველმოქმედება.

იმ საღამოს მამა შლეგერი ძალიან ფერ-მიხდილი იყო.

— ოჰ, თქვენა ხართ, ჩემო კეთილო რიხტერ! უთხრა იმან ახალ შემოსულ კაპელმეისტერს, რომელსაც პატარა თვალები ფართოთ გაელო,

ლიტერატურის მაგარ საფუძველზედ დაფუძნებისას, რომ თამამად შეგვიძლია ვსთქვათ: ამ მხრით ქართულ მწერლობას შიში არა აქვს. ჩვენმა საზოგადოებამ კარგად გაიგო, რომ მწერლობა არის დედა ბოძი ენისა და ენა თავის მხრით, არის სული და სიცოცხლე ერისა.

თ. გრ. ორბელიანის ორმოც-დაათის წლის ჩვენს ლიტერატურაში მოღვაწეობის დაფასება და დაჯილდოება იუბილეის გამართვით, რასაკვირველია, ცხადი ნიშანია იმისი, რომ ჩვენი ერი ადგება თავის ლიტერატურის შესახებ იმ სწორ გზას, რომელზედაც ადგიან დღეს ჩვენზე უფრო დაწინაურებული და განათლებული ხალხები. როდესაც ერი თავის მოღვაწე პირების საერო თანაგრძნობას უცხადებს, როდესაც ის აჯილდოებს მოღვაწეებს თავის ალტაცებული სიყვარულითა და თანაგრძნობით, რასაკვირველია, მაშინ მშრომელი ერთიორად მხნევდება, მას ერთი-ორად უფრო ეხალისდება ენერგია.

დარწმუნებული ვართ, ამ უკანასკნელ დროს ორი მაგალითი, საზოგადოების მიერ ნაჩვენები: ერთი გრ. ორბელიანის იუბილეის გამართვა და მეორე ჩვენი ნიჭიერი პოეტის თ. აკაკი წერეთლის ალტაცებით მიღება ჩვენი ქვეყნის სხვა-და-სხვა კუთხეებში, გაამხნევებს, სულს ჩაუდგამს ჩვენი მწერლობის წარმომადგენელებს და გამოიწვევს ახალ თაობასაც სალიტერატურო მოედანზედ სამუშაოდ.

ჩვენ, რასაკვირველია, ალტაცებულის მხიარულებითა და თანაგრძნობით ვეგებებით ჩვენი პატივცემული უხუცესი პოეტის შრომის დაჯილდოებასა და დღესასწაულს. გვსურს ამ გვარი შემთხვევა პირველი და უკანასკნელი არ ყოფილიყოს ჩვენში; გვსურს ჩვენი საზოგადოება არ დაკმაყოფილებულიყოს მარტო თანამედროვე პოეტების დაჯილდოებით, არამედ მიეხედოს უკან იმ წასრულ საუკუნოების წარჩინებულ მწერლებისაკენაც, რომელთაც დიდი შრომა და ღვაწლი დაუდვიათ ჩვენს ლიტერატურაში; გვსურს საქართველოს ერს აღესრულებინოს ერთი თავისი აუცილებელი მოვალეობა: აეგოს ჩვენს დედა-ქალაქს ტფილისში შესაფერი სახსოვარი ძეგლი ჩვენი გენიოსის, ქართულის ლიტერატურის გვირგვინის შოთა რუსთველისათვის, და მით დაემტკიცებიოს, როგორც თანა-მედროვეებისათვის, ისე მომავალი შთამოებისათვის, რომ ჩვენ არ გვავიწყდება ის პირი, რომელსაც რაიმე საერო სიკეთე და განძი დაუტოვებია ჩვენთვის, რომელსაც ულვაწია რომელიმე მხრით ჩვენი ერის წინ წაწევისთვის.

ამ გვარი ძეგლის აგება არ გაუჭირდება ჩვენს ხალხს. ნუ თუ აღმოჩნდება ისეთი ქართველი, რომ ამაში მონაწილეობის მიღების უარი სთქვას? მხოლოდ ამას ეჭირება მოთავე პირები, და სანატრელია, რომ ამისთანა მოთავე პირები მალე აღმოჩენილიყვნენ ჩვენში.

თ. ქაიხოსრო გელოვანი.

## დღიური

პეტერბურღის გაზეთებში იწერებიან, რომ ამ ღვინობისთვის 25-ს იქ ჩასულა კავკასიის მთავარ-მმართველი თ. დონდუკოვ-კორსაკოვი, რომელსაც ჩაუტანია თან კავკასიის გამგეობის ახალ ცვლილებათა წესდების პროექტი. ეს პროექტი იმან შინაგან საქმეთა სამინისტროში უნდა წარადგინოს და ეს კი, თავის აზრით, უმაღლესს მთავრობას წარუდგენს დასამტკიცებელათაო. თ. დონდუკოვ-კორსაკოვისაგან შედგენილი პროექტი, როგორც ზემოხსენებულს გაზეთებში იწერებიან, მხოლოდ კავკასიის ადმინისტრაციულ გამგეობის ცვლილებათა შეეხება.

* * *

მომავალ 1883 წლის სახელმწიფო შემოსავალ-გასავლის ხარჯთ-აღრიცხვიდამ სჩანს, რომ ტფილისის, განჯის, ქუთაისის, ერივნის და ბაქოს გუბერნიების, აგრეთვე ზაქათალის, შავ-ზღვის ნაპირა და სამურის (დაღესტნის მაზრის) სახაზინო გლეხებს (სულ 325,667 მოსახლეს) უნდა გადახდეს სახელმწიფო ხარჯი—1,541,375 მან.; ტფილისის, ქუთაისის და განჯის გუბერნიების დროებით-ვალდებულ გლეხებს (სულ—60,657 კომლს) გადასახადს მოელიან—64,984 მან.; კავკასიის მთიულ ხალხს (98,924 კომლს) 443,274 მან., რომელშიაც ნაანგარიშევია აგრეთვე ბათუმის და ართვინის მაზრების „აშარის“ (შემოსავლის მეათედი) სულ 323,000 მან.

* * *

სომხურს გაზეთს „მშაკში“ იწერებიან, რომ ამ თვის 17-ს ქ. სურამში მომკვდარა ერთი ქალი ტასია ალაჯანიანი, რომელსაც ადგილობრივ სომხის სკოლებისათვის 3,000 მან. დაუტოვებია ანდერძით.

* * *

ხვალ, ორშაბათს, ქალაქის რჩევაში შემდეგ საგნებზე იქნება სჯა:

გუბერნიის საქალაქო საქმეთა პრისუტსტვიის გარდაწყვეტილება 1882 წ. ქალაქის ხარჯთ-აღრიცხვის თაობაზედ;

მოხსენება ქალაქის გამგეობისა შემდეგ საიჯარო საგნების ვაჭრობაზე: მუხრანიანთ ხიდისა და ვერის პარომების შესახებ, ტყის შემოტანისა მტკვრით და ავლაბრის მამულებისა; და სხვ.

* * *

ქუთაისიდან იწერებიან „იურიდიულ მიმოხილვაში“, რომ ამ თვის 9-ს იქ დაუჭერიათ ერთი მეგრელი, რომელიც ერთს დუქნის ჭერზე ადიოდა ნავთით და ბურბუშელით იმ განზრახვით, რომ ამ დუქნისათვის ცეცხლი წაეკიდებიაო. კიდევ ბედიო, რომ მალე მიუსწრეს, თორემ [illegible] თი ქარი იყოვნა, რომ [illegible] მთელი ბაზარი გადამწვარიყოვო. ეს პირველი შემთხვევა არ არისო, ცეცხლის წაკიდება ქუთაისში; თითქმის დღე არ გაივლის, რომ ცეცხლი არ გაჩნდეს აქო და ყველაზე უფრო გასაკვირველი ის არისო, რომ მარტო ისეთს დუქნებსა და სახლებს ეკიდება ცეცხლი, რომელნიც „ცეცხლის ზიანისაგან მზღვეველ საზოგადოებაში“ არიან შეტანილნი. მაგრამ ამ სახლებისა და მაღაზიების პატრონები არხეინად ცხოვრებენო და ამის მიზეზიც არისო, რომ ამათა და ხსენებულ „საზოგადოებათ“ აგენტებს პირი აქვთ ერთმანეთში და ორივე ხელებს ითბობენო.

* * *

ჩვენ მივიღეთ ახლად-გამოცემული „სალამური“ ბ-ნი ზ. ჭიჭინაძისგან. ბ-ნი ჭიჭინაძე თავის წინა-სიტყვაობაში გვპირდება, რომ, რადგანაც ამ ხანებში მეტად ბევრი ქართველი ყმაწვილი კაცები აღმოჩნდნენ ლექსების მწყრლებიო და რადგანაც, ბევრი მიზეზების გამო (არ მომყავს ეს მიზეზები), მათი ლექსები ხშირად დაუბეჭდავად იკარგებიანო, ამისთვის მე განვიძრახე ეს ლექსებიც და სხვებიც, ბევრნი მოვაქციო ხოლმე „სალამურში“ და გამოვსცეო. ამავე „სალამურში“ ექნება ადგილი სხვა-და-სხვა სახალხო ლექსებსაო.

ეს პირველი წიგნი „სალამურისა“ შესდგება კარგა ბლომა ლექსებისაგან, ბევრი ამათში წინათაც თუმც დაბეჭდილები არიან, მაგრამ სიკარგის გამო მაინც კიდევ დაუბეჭდია ბ-ნ ჭიჭინაძეს და ბევრი კი მართლა არსად არ ყოფილან დაბეჭდილები.

ფასი სამი შაურია. არ არის ძვირი.

* * *

გაზ. „შრომა“ გვაცნობებს: ქუთაისში საქალებო ჟურნალის გამო-

---

რომ უკეთ დაენახა რა მოულოდნელი ამბავი მოელოდა მას.—შემობრძანდით და შემოიხურეთ კარები.

რიხტერმა დაუყოვნებლივ აასრულა მღვდლის სიტყვა.

— ძალიან მინდოდა თქვენი ნახვა, ჩემო მეგობარო,—დაიწყო მღვდელმა, რომელმაც ვერ შეიმაგრა თავი აღელვებისაგან.—დიახ, ძალიან მინდოდა თქვენი ნახვა, რომ მეამბნა თქვენთვის რაღაცაები...

იმან დაუჭირა კაპელმეისტერს მაგრად ხელები და პირ-და-პირ შეაცქერდა თვალებში.

— დიაღ, ჩემო საწყალო რიხტერ, ჩვენ ძალიან უბედურები ვართ...

რიხტერი არ იძროდა ადგილიდამ, ის თითქოს გაქვავებულიყო.

— წაიკითხეთ, რიხტერ, განაგრძო მან და გაუშვირა ორლეანოს დამკვრელს პატარა ოთხ-კუთხი ქაღალდი.—აი რა მომიტანა მე ვილაც ნემეცის სალდათმა ციხიდამ.

რიხტერმა აიღო ქაღალდი და წაიკითხა:

„ქალაქ მ-ის გუბერნატორის ბრძანებით, ეცნობება ფრანგის ეკკლესიის მღვდელს შლეგერს, რომ გადაიხადოს პარაკლისი მომავალ კვირას, მათ უდიდესობის პრუსიის კაროლის ვილჰელმის და გერმანიის პრინცების და იმათ ჯარის სადღეგრძელოთ. სამოქალაქო და სამხედრო წარჩინებულნი პირნი ქალაქ მ-ის იქნებიან მოწვეულნი ამ პარაკლისის მოსასმენად.“

კაპელმეისტერი დაეშვა სკამზედ და ვეღარ ჰპოებდა სიტყვას თავის გრძნობის გამოსათქმელად.

— რა სირცხვილი, ოჰ, რა სირცხვილი დაგვემართა! ბუტბუტებდა მღვდელი.

— ძალიან კარგი!—წამოიძახა ბოლოს რიხტერმა, როდესაც გონზედ მოვიდა.—რას ფიქრობთ თქვენ, ბ-მაო?

მღვდელი ერთ წამს დაფიქრდა და მერე დაწყნარებულის ხმით სთქვა:

— უნდა დავმორჩილდეთ.

ამ სიტყვების გაგონებაზედ რიხტერი ელდა-ნაცემივით წამოხტა ზეზე, შეკუმშა მუშტები და მიიტანა მღვდლის ცხვირთან.

— დიაღ, უნდა დავმორჩილდეთ,—განაგრძო მღვდელმა:—ჩვენ იმათ ხელში ვართ. საქმე რომ მარტო ჩემზედ იყოს, მაშინ, რასაკვირველია, ლაპარაკიც არ იქნებოდა საჭირო. სამოც-და-ათი წლის ბებერი მაინც-და-მაინც ძნელი დასათმობი არ არის. ჩემ დროში კაცმა არაფერს არ უნდა მიჰხედოს. მაგრამ საქმე მარტო ჩემზედ კი არ არის, საქმე მთელ ქალაქზედ არის, რომელიც ახლა იმათ ხელშია. საქმე ჩვენს მოძმეებზედ არის, ჩვენს მრევლზედ, ქალაქის მცხოვრებლებზედ, რომლებიც ჩვენ უნდა დავიცვათ. ჩვენ გადავიხდით პარაკლისს და ამის სათქმელათ დაგიბარე თქვენ, ჩემო კეთილო რიხტერ.

— ნუ მთხოვთ მაგას,—სთქვა რიხტერმა,—მე არ შემიძლიან ამის ასრულება!

— რიხტერ, განაგრძო მღვდელმა, როდესაც ეს მოწერილობა მივიღე, მეც იმას ვამბობდი, რასაც ეხლა თქვენ ამბობთ; მაგრამ მერე კი გამოვცვალე აზრი. ამას თქვენ უბრალო კაცი კი არ გეუბნებათ, უბრალო ფრანცუზი, არამედ მოძღვარი. მოძღვარს მოვალეობა აძევს იზრუნოს თავის მრევლისათვის, თავის ხალხისათვის; მას ჰსურს თავიდამ აიცილოს სისხლის-ღვრა, მას ჰსურს მშვიდობიანობა. უარის თქმა ჩემის მხრით ყველაფერს გააფუჭებდა. და მე იმედი მქონდა, რომ თქვენ დამეხმარებოდით ამ საქმეში...

— კარგი! როგორც გინდათ, ისე იყოს! რომელი პიესა დაუკრა კვირასა? წაიბუტბუტა კაპელმეისტერმა.

— რომელიც ყველაზედ უფრო მოკლე იყოს. მიუგო მღვდელმა.

— კარგი.

ეს სთქვა და გიჟივით გამოვარდა მღვდლის სახლიდამ. მღვდელმა დაიწყო ლოცვა.

საწყალი რიხტერი რომ ვისმეს ენახა სახლში მიმავალი, უეჭველათ შეამჩნევდა ორ მსხვილ ცრემლს იმის ლოყაზედ.

—

ცემა გარდაუწყვეტია ადგილობრივს უმაღლეს მთავრობას, თუმცა ამ საგანზედ ოფიციალური ქაღალდი ჯერ ქუთაისში არ მოსულაო.

## „დროების“ კორრესპონდენცია

**შორაპნის მაზრა, 20 ოქტომბერი.** ამ დღეებში მე დავდიოდი ჩემი საბლაღოჩინო ეკკლესიების დასახედავათ და ბოსლევის სოფელში ვნახე ერთი ძლიერ საყურადღებო სანახავი. აი საქმე რაშია.

ერთ ბოსლელ კაცს შეურთავს თავისი შვილისათვის ცოლი. ახალგაზდებს კარგად გაუტარებიათ დრო ერთ წლამდე, ბოლოს შვილი ჰყოლია ამ წელში ვნების კვირაში. მელოგინე გაციებულა ქობის დროს და გამხდარა ავად. გაუვლია კარგ ხანს, მაგრამ უწამლოთ არ მორჩენილა. სნეულებას დიდ ხანს გაუტანებია.

ბოლოს გლეხი შეშინებულა და მოუწვევია გამოცდილი მოხუცებული პირები სნეულების შესატყობად. ამ კაცებს თუმცა გარდაწყვეტით ვერ უთქვამსთ, მაგრამ ქალის მამამთილს ფილტვის წვლა, შლეგა შეუნიშნავს ქალის სნეულებათ და გადაწყვეტია გადახიზვნა. გაუკეთებია ერთ შეკრული მთაში, ღელის სიახლოვეს, ადგომი წნელისაგან მორაგული და გამოუცხადა თურმე ავადმყოფს იქ წაყვანა და დაწვენა. ქალი მაშინვე მოსხლტა და ფოგინათ ჩავარდა, თურმე. მაგრამ რას გაზმდა. წაეყვანათ მაინც.

ამისთანა გაჭირვებულებზე ადგილობით მღვდელს **ს. სურხიაშვილს** თურმე ურადღება აქვს მიქცეული და დაუწყობნა ამ ავადმყოფს. ბოლოს როგორც იმნა, მიაგნო. მიიყვანა ურემი, დააწვინა სნეული და ეკლესიაზე მოიყვანა და დაასვენა ეკკლესიის სენაკში. აქ იმ სნეულს ს აძლევს საჭმელად ეკკლესიაზედ ვინც გარდაცვალებულის მოსახსენებლად მიიანს რამეს და, თითონაც ჰყიდულობს ეს და აძლევს სნეულს.

ეს ჩემის თვალით ვნახე და მიამბო საწყალი სნეულის დედამ მოხუცებულმა დედაკაცმა. სნეულ ქალს არ ეკარება არც ქმარი და არც მისი ოჯახობის არავინ. ქალს დიდი ხნის სიცოცხლე აღარ აქვს. ქალს სტკივა გული; ნამეტანი სიცხე აქვს და ფეხები წყალმანკით დაბერილები, რომელნიც გულის ტკივილის მიზეზით არის.

აქვე შევიტყვე ერთი საძაგელი ამბავი. აქ ამისთანა სნეულებისთვის თავდეგათ ქირაობენ ერთ გლეხ-კაცს. ეს კაცი დააჯდება თურმე თავზედ ამისთანა სნეულს რამდენიმე დღე და ბოლოს აღრჩობს ამისთანა სნეულებს!(?). ის ჰფიქრობს, რომ ერთი კაცის, ავათმყოფის დახრჩობით ის არჩენს მრთელს ოჯახობას და მრთელს სოფელს. ეს შეეტყო ამ ახალგაზდა მღვდელს და მიუქცევია ყურადღება ამ საქმისათვის, და დაუფარავს ეს სნეული დახრჩობისაგან. ამ მღვდელმა გამოუცხადა თავის მრევლს, რომ ყველა ამისთანა უბედური სნეულები მათ მოიყვანონ ეკკლესიაზედ და ის ჰკისრულობს მათ მოვლას. ეს მღვდელი წინეთ სხვა მრევლში მსახურებდა და რომ გადვიდა ამ მრევლში, ძველი სამრევლო სტიროდა თურმე. დღეს აქ როგორც მამას, ისე უყურებენ მას და ღმერთმან ქმნას სხვებსაც ეს ყურადღება დაემსახურებიოს თავის სამწყსოსაგან. მივაქცევთ ამისთანა კეთილ საქმეებზე სხვა მღვდლების ყურადღებას: მათ გარდა სხვა ამისთანა შემთხვევაში ყურადმღებელი ხალხს არავინ ჰყავს.

ამისთანა ამბავი კიდევ ვნახე კარგი ხანია მას აქეთ სოფ. ხიდარში. ამ შემთხვევებმა აღძრეს ჩემში სურვილი, რომ ზოგიერთ ეკკლესიაზედ, რომლებზედაც მრევლის რიცხვი მრავალია, გავაკეთო პატარა ოთახები. ამ ოთახებში შეიძლება ამისთანა საცოდავი ავათმყოფები დააწვინოს კაცმა და მოუაროს. იმედი მაქვს, რომ ყველა ჩემი საბლაღოჩინო და სხვა მღვდლებიც ამ საქმეს ყურადღებას მიაქცევენ.

ბლაღოჩინი მღვ. დ. ღამბაშიძე.

## თეატრი

**ქართული წარმოდგენა 20 ოქტომბ.**

„თვალთ-მაქცობა“, კომედ. 2 მოქ., „გულმა იგრძნო“, ვოდ. 1 მოქ., „დედა და შვილი“, დრამატ. სცენა 1 მოქ.

„თვალთ-მაქცობა“ პირველად წარმოდგენილია ჩვენს სცენაზედ და გადმოკეთებულია ფრანცუზულიდგან. პიესის შინაარსი არის გადმოღებული ნამდვილის ცხოვრებიდგან და იქამდისინ კარგად გადმოკეთებული, რომ ნახულს სურათებს თვალ-წინ წარმოგვიყენებს. ერთს მხარეს გახლავსთ ერთი შუა სიმდიდრის მქონე ვაჭარი, რომელსაცა ჰყავს ცოლი და ერთი ვაჟი შვილი; მეორეს—ასეთივე შეძლების ექიმი, თავის ცოლით და მარტო ერთის გასათხოვარის ქალით.

უმაწვილ ქალ-ვაჟს მოსწონთ ერთმანერთი და დედ-მამანიც ჰფიქრობენ იმათ დაბინავებას. არც ერთი მხარე წინააღმდეგი არ არის, რომ თანხმობა გამოაცხადოს იმათ შეუღლებაზედ, მაგრამ ქალის პატრონებს ეშინიათ, რომ ვაჟის პატრონებმა ნება არ მისცენ თავიანთ შვილს ამ ქალის შერთევისა და ვაჟის პატრონებს კი უარისა.

ორივ ოჯახობის ქალები ცდილობენ, რაც შეიძლება გაიბერონ და ერთი-ერთმანერთის წინ მდიდრად გამოიჩინონ თავი და აკვეხებენ ერთმანერთს თავიანთ ეკიპაჟებს, ცხოვრებას, სიმდიდრეს, ხარჯს და სხვ... ბოლოს როგორც იქნება, ვაჟის დედ-მამა გაბედავს თხოვნას; ქალის დედ-მამაც დათანხმდება, მაგრამ კვეხნა და მდიდრად გამოჩენის სურვილი იქამდინ გაუჯდებათ რბილსა და ძვალში, რომ თანხმობის შემდეგაც თავი ვერ დაუნებებიათ ამ ჩვეულებისათვის და როგორც მდიდრათ გამოჩენის მსურველნი, ორი მამა იმდენს ჰპირდებიან თავიანთ შვილების ქრთამს (მზითევს), რომელიც ბევრით გადაემეტება ამათ საცხოვრებელს.

როდესაც გონს მოვლენ და დაინახვენ თავიანთ შეცდომას, აღარ იციან რა ქნან, რადგანაც უეჭველია, ერთმანერთისგან მოითხოვენ დაპირებულს და უკან დაბრუნება შეურცხვენლად-კი აღარ შეუძლიანთ. ამისთვის ისინი ერთმანერთის შარის მოკიდებას ცდილობენ და ცილსა სწამებენ, რომელიც ბოლოს ჩხუბად გადაექცევათ. ორნივ მზად არიან შეყვარებულებს ხელი აღებინონ, ოღონდაც მდიდრის სახელი არ დაჰკარგონ, როდესაც შემოვა შეშების ვაჭარი, ნათესავი სასიძოს მამისა, რომელიც შეარიგებს წაჩხუბულ მძახლებს და გამოაშკარავებს ამ გვარი კვეხნის სისაძაგლესა და თითონ მკვეხარების შეძლებასაც. შეყვარებულნი შეერთდებიან დედ-მამის სასიხარულოდ და ორთავ მხარეს თითქოს ქვა ჩამოეხსნება გულიდგან.

პიესის შინაარსი თითქოს ჩვენის ცხოვრებიდამ არის ამოღებულიო და უფრო ამიტომ არის კარგი და საყურადღებო.

პიესის გადმომკეთებელს, რომელსაც დაუმალავს თავის სახელი, ვარწმუნებთ, რომ ეს პიესა ბევრით უკეთ არის გადმოკეთებული, ვიდრე ზოგიერთი გადმომკეთებლებისა და ამისთვის ვიმედოვნებთ, რომ ეს პიესა უკანასკნელი ცდა არ იქნება იმის მხრით.

ერთი პატარა შენიშვნა ამ პიესის შესახებ და ეს შენიშვნა შეეხება პიესაში ყმაწვილი კაცის მეტად უფერულობას, რომელსაც უფრო მეტად ფერი დააკარგვინა ამ როლის აღმსრულებელმა—ბ. ლომიძემ. ჩვენა გვგონია, რაკი ერთხელ ავტორი შეეხება აწმყო ცხოვრების ვნებას და იქ გაურევს ახალგაზდებს, ეს უკანასკნელი უფრო ნათლად და საიმედოთ უნდა იხატებოდეს პიესაში. შეშის ვა-

---

ქვირას, სწორეთ შუადღისას, ქალაქს მ—ის ფრანგების საყდარი საესე[...] სხვა-და-სხვა გვარი სამხედრო [...]ლხით ნემეცურ იარაღით შემოსი[...]. მალაქის მცხოვრებთაგანი კი [...]ცერთი არ მოსულიყო. ყოველის [...]რიდამ მოჩანდა ნემეცის აფიცრებისა [...] ღენერლების ცისფერი მუნდირი [...]ქროს ფოლაქებით, რკინის ქუდები [...]წივებით; ხორაზედ მოჩანდა ოქ[...]ს სავარძელი, გარ-შემორტყმული [...]ველებით,—ეს სავარძელი იყო დამ[...]ზებული ქ. მ—ის დროებით სამ[...]რო გუბერნატორის დასაჯდომად. [...]საკურთხევლიდამ გამოვიდა შემო[...]ლი მამა შლეგერი. იმას მოეხსნა [...]ტარა წითელი ბანტი, რომელიც [...]მვენებდა გულს და მგლოვიარობის [...]შნათ ჩაეცვა მუქი შესამოსელი. [...]ნაცრის ფერი სახე ჰქონდა. ის [...]თქო ვერ ამჩნევდა იმდენ ხალხს [...] თვალები მუდამ ჯვარცმისაკენ [...]ნდა მიქცეული.

[...]რაც შეეხება რიხტერს, ის მას შემ[...]მ, რაც მღვდელთან იყო, არსად არ გამოჩენილა. იმან დაანება თავი გაკვეთილებს და ჩაკეტა თავის ოთახის კარები ყველა მომსვლელებისათვის. კვირას ჩაიცვა შავი ტანისამოსი და მალვით მივიდა ეკკლესიაში. როგორც ერთი რამე ცუდი საქმის ჩამდენი, ისე იმალებოდა. მივიდა მგალობლებთან, გაისტუმრა ორღანოზედ დამკვრელი, გამოაცხადა, რომ თვითონ ის დაუკრავს ორღანოზედ.

საყდრის საათმა დაჰკრა შუადღისას, როდესაც ღუბერნატორი შემოვიდა ეკკლესიაში.

ორღანომ დაიწყო სამწუხარო მელოდის დაკვრა. წირვა დაიწყეს. გალობაც მცხედრის წირვის გალობას ემსგავსებოდა. ღუბერნატორის ბრძანებით მამა შლეგელმა დაიწყო პარაკლისის გადახდა გერმანიის იმპერატორისა და პრონცების დღეგრძელობაზე და გერმანიის სახელმწიფოს აყვავებაზე. რიხტერიც აჰყვა მღვდელს და დაუკრა ორღანოზე.

რიხტერი გაყვითლებული და თითქოს ციებიანი აჭერდა კანკალებულ თითებს ორღანოს კლავიშებზედ. შეცრად ამ დროს იმას თვალ წინ თითქოს რაღამაც გაუელვა.

უცბათ გაიქნია თავი და გადიყარა შუბლზედ ამოცვივნული თმები. თითქოს მიბჟუტულ თვალებმა ისევ მარჯვეთ გამოიხედეს, წელში გაიმართა და თითები, რომელნიც ერთი მინუტის წინეთ ისე უკანკალებდნენ, ახლა ისევ გაუმაგრდა.

ნაზმა ორღანომ იმისთანა ხმა-მაღლა დაიწყო დაკვრა, ისე რომ იმისი ხმა შორს გაისმოდა. ეკკლესიის ფანჯრებმა ზრიალი შეჰქნეს.

მამა შლაგელი წამოდგა ფეხზე მთელი თავისი მომხმარებლებით და დაიწყო ჩუმის ხმით ლოცვა.

რაც შეეხება ნემენცებს, გაკვირვებით უყურებდნენ ერთმანერთს. დიდი ჩოჩქოლი შეიქნა მთელს ეკკლესიაში, რაღაც საშინელი გრძნობა და შიში აღეძრათ გამარჯვებულებს.

ბოლოს თითონ ღუბერნატორი წამოდგა ფეხზე და გამოვიდა აჩქარებული, ასე გვეგონებოდათ რაღაც ღვთის ძალა აგდებდა მას ამ წმიდა ადგილიდამაო.

რიხტერი... პატიოსანი და სამშობლოს მოყვარული რიხტერი უკრავდა ორღანოზე ფრანცუზების ნაციონალურ სიმღერას—„მარსელიეზას“.

ამან დააფთხო ნემცები.

---

იმ ღამესვე რიხტერი გაიქცა ამ ქალაქიდამ, რომ არ ჩავარდნილიყო ნემენცების პოლიციელების ხელში, და შემდეგ აღარც გამოჩენილა.

მამა შლიგელი კი ნელ-ნელა დნება იმ სურვილით, რომ გაიგონოს ფრანციზული ლოცვა „დიდება მაღალთა შინა ღმერთო“ და დაუკრეს იმავე ორღანოზე თავ-გადადებულმა რიხტერმა.

ქარი სულ რომ ამოეგდო „თვალთ მაქცობის“ გამომკვეთებელს და წაჩხუბებული მამების შემრიგებლად შვილები გამოეყვანა, უფრო მეტს შთაბეჭდილებას მოახდენდა. ეს პიესა საზოგადოთ ცუდათ ითამაშეს, რადგანაც როლები არ იცოდნენ და იქ თამაში-კი ითხოვს როლების ძალიან გაზეპირებას, სიცხოველეს, რადგანაც წამდაუწუმ სიტყვებს პირიდგან ართმევენ ერთმანერთს. დიდს ხანს შეჩერება, პაუზა ამ გვარს წარმოდგენებზედ, ღუპავს პიესას და საზოგადოება გულ-გრილად ეკიდება.

ქალებმა მაინც აჯობეს კაცებს როლების ცოდნითაც და თამაშითაც. ბაბუნია, ექიმის ცოლად, თავის გაბრტყელებულის ლაპარაკით, მიხრა-მოხრით და ვეება მარაოთი მშვენიერი რამ იყო. ქორინთლისას—ყმაწვილი ქალის როლში და ენდრონიკოვისას კარგათ გაევოთ როლების ხასიათი.

ჩხუბის სცენა წაუხდათ ბ. ყიფიანს, და ბ. აბაშიძეს, რადგანაც როლები არ იცოდნენ და ჩქარი ლაპარაკი-კი საჭირო იყო.

ვოდევილმა „ზულმა იგრძნო“ გაიარა ჩვეულებრივ ჩინებულად, რადგანაც სცენის გამაცოცხლებელი არტისტკა საფაროვის თამაშობდა.

„დედა და შვილს“, რაც შეეხება უკვე წარმოგვითქვამს ჩვენი აზრი.

Z.

## ტფილისის საავადმყოფო.

ავადმყოფები მიიღებიან დილის რვა საათიდამ თორმეტ საათამდის.

**ორშაბათს.** გარაღლევიჩი და ლისიცევი—შინაგან ავადმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავადმყოფობისა; ბასუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავადმყოფობისა; ბაბაევი ძარღვების სისუსტის და შინაგან ავადმყოფობისა.

**სამშაბათს.** მინკევიჩი—ხირურგიული ავადმყოფობისა; ლისიცევი—შინაგან ავადმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავადმყოფობისა; ბასუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავადმყოფობისა; ბაბაევი და დანიელ-ბეგოვი—ძარღვების სისუსტის და შინაგან ავადმყოფობისა.

**ოთხშაბათს.** ლისიცევი და მირიმანოვი შინაგან ავადმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბასუტოვი—ბებიაობის ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—ძარღვების სისუს- ავათმყოფობისა.

**ხუთშაბათს.** ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბასუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—ძარღვების ავათმყოფობისა.

**პარასკევს.** მინკევიჩი — ხირურგიული ავათმყოფობისა; ლისიცევი, მირიმანოვი და დანიელ-ბეგოვი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბასუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—ძარღვების სისუსტის ავათმყოფობისა.

**შაბათს.** ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბასუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—ძარღ. ს სუსტის ავათმყოფობისა.

# განცხადებანი

**ქუთაისის გიმნაზიის პედაგოგიური რჩევა** ამით აცხადებს, რომ, თანახმად ჟურნალისა 6-ს ოკტომბრის 1882 წლისა, გიმნაზიის პანსიონში გახსნილ ვაკანსიებზე მოიწოდებიან:

ლუკა ჩარკვიანი, კოლეჟსკი სეკრეტრის სიმონ ჩარკვიანის შვილი, ქალაქ ქუთაისში მცხოვრები (გიმნაზიის მესამე კლასში სწავლობს)

გრიგოლ ბარათაშვილი, აზნაურის სარიდონ ბარათაშვილის შვილი შორაპნის უეზდის სოფელ ნიგოზეთიდამ (გიმნაზიის მეექვსე კლასში სწავლობს)

გიორგი წერეთელი, აზნაურის მიხეილ წერეთლის შვილი, საჩხერო უეზდისა სოფელ ჯვარისიდამ. გიმნაზიისთვის არ შეუტყობინებიათ სად სწავლულობს (უნდა შემოვიდეს პირველ კლასში)

ილიანე ხოფერია აზნაურის გაბრიელ ხოფერიის შვილი, სენაკის უეზდის სოფელ შხეფიდან (გიმნაზიის მეექვსე კლასში სწავლობს)

ამასთანავე რჩევა საჭიროდ ჰრაცხს გამოაცხადოს, რომ თანახმად სიისა უახლობელეს კანდიდატებად რომელთაც წლოვანებით უფლება აქვთ მიღებულ იყვნენ და რომელნიც მახლობელ მომავალში დაბარებულნი იქნებიან:

ჩხეიძე ვარლაამი, აზნაურის გრიგოლ ჩხეიძის შვილი ქუთაისის უეზდის სოფელ ბზვანიდამ, (გიმნაზიის მოსამზადებელ კლასში სწავლობს)

ვლადიმირ გუნცაძე, აზნაურის ალექსანდრე გუნცაძის შვილი შორაპნის უეზდისა. სოფელ კვალითიდამ (გიმნაზიის მესამე კლასში სწავლობს)

ნიკოლოზ გუნცაძე, აზნაურის ბესარიონ გუნცაძის შვილი შორაპნის უეზდის სოფელ კვალითიდამ (გიმნაზიის მეორე კლასში სწავლობს)

ნიკოლოზ იოსელიანი, აზნაურის კონსტანტინე იოსელიანის შვილი, ქუთაისის უეზდის სოფელ წყალტუბიდამ.

სამსონ ნანეიშვილი, აზნაურის თომა ნანეიშვილის შვილი სენაკის უეზდის სოფელ საჭილაოდან,

ივანე ამირეჯიბი, აზნურის ხოსთა ამირეჯიბის შვილი, რაჭის უეზდის სოფელ შარდომეთიდან. (3—1)

„**წერა-კითხვის საზოგადოება**“ სთხოვს წევრთ, რომ ხვედრი საწევრო ფული გამოგზავნონ „საზოგადოების“ ახალის ხაზინადარის ბ. გიორგი დავითის-ძის ქართველოვის სახელობაზედ, შემდეგის ადრესით: въ Тифлисъ. Казначею общества Георгію Давидовичу Картвелову. Михаиловск. улица, собст. домъ. (3—1)

დაიბეჭდა და ისყიდება გრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში

## სახსოვარი

ბატონიშვილის ალექსანდრესმის ირაკლის გარდაცვალებაზე.

შეკრებილი და გამოცემული ზ. ჭიჭინაძისაგან

ფასი ხუთი შაური.

ახალი ქართული

## ქარაბადინი

ისყიდება ტფილისში: შავერდოვის და გრიქუროვის წიგნების მაღაზიებში; ქუთაისში: მურადოვის და ჭილაძის წიგნების მაღაზიებში.

ფასი ყდიანის ერთი მანეთი.

ქართველ ქალებისაგან ნათარგმნი

## მოთხრობანი

წიგნი მეორე.

ისყიდება ტფილისში: შავერდოვთან, ჩარკვიანთან და გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში (ბაღის პირ-და-პირ).

ქუთაისში: ჭილაძის და ნიკოლაძის მაღაზიაში.

გორში: მ. ქერესელიძესთან.

დაიბეჭდა და გამოვიდა ახალი სომხური წიგნი

**მწყემსის სტვირი**

**ლექსები, სიმღერები და ზღაპრები**

ცნობის-მოყვარე ყრმათათვის სკოლაში და შინ საკითხავად

ალაიანცისა

გამოცემა გ. მ. შავერდოვის გაზეთის სააგენტოსი.

ფასი ერთი აბაზი

სალოსტატო ინსტიტუტში კურს დასრულებულს ქსუფსამოალსა— გაკვეთილები

პირობების შეტყობა შეიძლება „დროების“ რედაქციაში. (10—6)

დაიბეჭდა და ისყიდება გრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში:

**თამარ დედოფალი**

შედგენილი

კ. ბ—შვილისაგან

გამოცემა

ზაქ. ჭიჭინაძისაგან

ფასი ერთი აბაზი.

## ტაქსია

საკვებავ ხორაგეულებათა, რომელნიც იყიდებიან ტფილისის ბაზრებში, დუქნებში და დარტაფებით 1 ოკტომბრიდამ 15 ოკტომბრამდის.

| | | |
|---|---|---|
| გამომცხვარი პური: ხორბლის ფქვილის | | |
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | 5½ |
| მეორის „ | —1 გირ. | 4 კ. |
| მესამის „ | —1 გირ. | — |
| იმავე ფქვილ. თორნეში გამომცხვარი: | | |
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | 6 კ. |
| მეორის „ | —1 გირ. | 4½ |
| ჯვარის-მამის პური: | | |
| პირველ ხარის. ლავაში | 1 გირ. | 6 კ. |
| მეორის „ „ | —1 გირ. | 5 კ. |
| მესამის „ „ | —1 გირ. | 4½ |
| ძროხის ხორცი: | | |
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | 8 კ. |
| მეორის „ | —1 გირ. | 7 კ. |
| სუკი — — | —1 გირ. | 14 კ. |
| ცხვრის ხორცი | 1 გირ. | 8 კ. |
| ღორის ხორცი: | | |
| პირველი ხარისხის | —1 გირ. | — კ. |
| მეორის „ | —1 გირ. | — კ. |

ინგლისის მაღაზიაში

**თმის ამომყვა-ნი მაკმასტერი**



ამაგრებს თმას და ადრინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუშისა 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ. (100—7)

აქვე ისყიდება ქინის პომადა თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან. ხიოტკები თავის ტკვილის მოსასპობლად, ტუალეტის საპონი, დუხები და სხვ.

გუნიბის მოედანზე, ცირკის გვერდით, ოთხშაბათს 27-ს ოკტომბრიდამ 1882 წელსა,

## შემოკლებული ფასებით.

შეიძლება ყოველს დღე ნახოს დილით 10 საათიდამ სალამოს 11 საათამდე.

## ფენომენი ელიზა.

ჩვენს საუკუნეში გასაკვირველი ბუნების მოვლინება.

12-ს წლისაა და იწონის 478 გირვანქას ანუ 11 ფუთს და 38 გირვანქას. მხრების სიგანივრე 3 არშინი და 2 ვერშ., წელისა 3 არშინ. და 6 ვერშ. ეს ფენომენი ნაჩვენებია ბერლინში, დრეზდენში, პარიჟში ს.-პეტერბ., ხარკოვში და კიევში.

ბერლინში პროფესორთა: ვირხოვის, ლანგენბერგის, რაიხერტის, დემანის, გერნის და შტოკვიჩის, გაჩხრეკით გამოჩნდა, რომ ეს ფენომენი ტყუპებისაგან არის წარმოდგენილი.

**ბილეთების ფასი.**

1-ლი ადგილი 50 კოპ. 2-ე 30 კოპ. 3-მე 20 კოპ., ყმაწვილები 10—წლ. პატარები და ჯარის კაცნი, იხდიან ნახევარს.

(2—2) ჟორჟ კლეინგოფი.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 30 [illegible] 1882 г. Типографія [illegible] Меликова. გამომცემელი ს. მესხიშვილი. რედაქტორი ს. მესხი